პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 23 თებერვალი № 45 (16782) ფასი 2 კაპ. 1977

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და საშინაო-საზღვაო ფლოტის დღეა

დიდება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს, არმიისა და ფლოტის ვეტერანებს!

დიდი ხილდო გვაკვალებს...

ამდენიმე დღე გაიდა და ჯერ კიდევ არ დამცხრალა საყოველთაო აღფრთოვანება, დიდი მადლიერების გრძნობა, რომელიც გამოიწვია ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვების შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ავტონომიურ რესპუბლიკათა შორის ეს დიდი ჯილდო აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკას მიეკუთვნა. გამარჯვებულთა რიგებში არის ქალაქები — თბილისი და ქუთაისი, აბაშის, გორისა და ზუგდიდის რაიონები, აგრეთვე ბევრი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს მშრომელთა ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულია ჩვენი ხალხის დაუცხრომელი, ენერგიული შრომით, ძალღონის მთელი დაძაბვით, სიძნელეებთან შეუპოვარი ბრძოლით... სიძნელეები კი მცირე როდი იყო, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში... მაგრამ მშრომელი ადამიანების მისწრაფებამ — გადალახათ ეს სიძნელეები, ამინდის ჭირვეულობისთვის დაეპირისპირებინათ წლების მანძილზე დაგროვილი მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ნამდვილად პატრიოტული, რესპუბლიკის ღირსებისათვის გულანთებული, გეგმური, ღრმად გააზრებული შემოქმედებითი შრომის ძალა— ყველაფერი სძლია, როგორც იტყვიან, შეუძლებელი შეძლო.

ყველაფერი, რაც მიღწეული და მოპოვებულია, მთელი ჩვენი ხალხის მამაცური, თავდადებული შრომის, გმირული შემართების შედეგია, როგორც ამაც უდიდესი სიძნელეები, დიდი დაბრკოლებები გადალახა ხუთწლედის დაგალებათა შესრულების გზაზე.

ყველა ამ შრომისა და ბრძოლის სული და გული, მისი წარმმართველი და მაორგანიზებელი ძალა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია იყო, თვითეული კომუნისტი, ყოველი პატიოსანი მშრომელი იყო... ბარაქალა მათს მარჯვენას!

შარშან ეს მარჯვენა — ყველა ერთად, ერთი მიზნით ადნობდა და აწრთობდა ფოლადს, მიწის წიაღიდან გამოჰქონდა მარგანეცი, ქვანახშირი, აწყობდა ქართულ ავტომობილს, ჩარხებს, აშენებდა ბინებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, ქსოვდა მაუდსა და აბრეშუმს, მოამყავდა ჩაი, მარცვლეული, ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, მთელი ძალით ემსახურებოდა ხალხს, სამშობლო ქვეყანას.

ხუთწლედი კარგად დაიწყო, — აღნიშნა ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ოქტომბრის პლენუმზე, — 1976 წლის სამეურნეო შემართება უზრუნველყოფს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას. და ეს მარტო ეკონომიური კი არა, ამავე დროს დიდი პოლიტიკური მიღწევაა.

სწორედ ასეთმა სამეურნეო და პოლიტიკურმა მიღწევებმა ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ წლებში ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა. მკვეთრად გამოჩნდა პოზიტიური ძვრები ეკონომიკაში, ამაღლდა შრომითი მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფონდუკუგება, წარმოების რენტაბელობა და ეფექტიანობა, პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება. ახლა დღესავით ნათელია, რომ ყველა ეს შემობრუნება, ჩვენი ყველა სამეურნეო და პოლიტიკური წარმატება შედეგია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ისტორიული დადგენილებისა, რომელმაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს. „პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, — როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული, — პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია“.

სწორედ ასეთმა მუშაობამ, მასებთან მჭიდრო კავშირმა განაპირობა, რომ მეცხრე და მეათე ხუთწლედების ოთხი წლიდან თვითეული 1973, 1974, 1975, 1976 — სამშობლოს ღიდი ჯილდოებით აღინიშნა, მეოთხე წელია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ზედიზედ იღებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

ეს ყველაფერი გაკეთდა და კეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი ზრდისათვის.

მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი ისტორიული მოვლენისათვის, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის ემზადება. ამ დღესასწაულისათვის საუკეთესო საჩუქარი იქნება სამშობლოსათვის მეათე ხუთწლედის ხარაჩოებზე თავდადებული შრომა, ახალი მიჯნების აღება, რომელსაც უნდა მივაღწიოთ კომუნიზმის მშენებლობის ნათელ გზაზე.

ბევრი მოწინავე საწარმოო კოლექტივი, ცალკეული მშრომელები კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს და დაბჯითებით აყენებენ წინადადებებს, რომ ოქტომბრის რევოლუციის სახელოვანი წლისთავისათვის ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

ეს დიდი პატრიოტული წამოწყებაა და მოითხოვს დაძაბულ შრომას, თავდადებას, მთელი ძალებისა და საშუალებების გონივრულად გამოყენებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მის საჯაროობას, საყოველთაობას, რეზერვების სრულად ამოქმედებასა და გამოყენებას.

რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებში ყოველწლიურად იბადება შეჯიბრების ახალი ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. რუსთაველთა ცნობილ თაოსნობას ჭელს მოკიდა ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა პაპრიოტული ინიციატივა, რომ საიუბილეო წელს არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, რომ ბრძოლაბრგანი შესრულდეს ყოველი თვის საჯარიოო ბეგმა.

დღეს ეს თაოსნობა უკვე იქცა პრაქტიკულ საქმედ, მშრომელები ამ ლოზუნგებით დგებიან შრომითს ვაზაზე და ამ თავითვე საუძველს უყრიან საიუბილეო წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებას. კვლავ მაღალაყოფიერი შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან სკკპ XXV ყრილობის დელეგატები ბ. ვაშაკიძე, გ. კურტანიძე, ო. ლომიძე, ვ. მეუნარგია, შ. აბაკელია, ვ. გალდავა, ა. ვოუბა, ქ. გოგიტიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. რომნისთველი და მრავალი სხვები. მათთან ერთად ლოზუნგით „ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი“ ახალ წარმატებებს აღწევენ მშრომელთა ფართო მასები.

დიდმა ჯილდომ აღფრთოვანებასთან ერთად დიდი მოვალეობის გრძნობაც, ახალი გამარჯვებებისათვის შეუოკებელი სწრაფვაც გაღვივა. საიუბილეო წელი მაღალორგანიზებულად, ნაყოფიერად და შემოქმედებითი შრომით დაიწყო. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თვითეული ჩვენთაგანის გარჯაზე, საქმის საყვარულზე, უნარიან, გონივრულ მოქმედებაზე, მაღალნაყოფიერ შრომაზე. სწორედ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის პატივის ცემა, ვის უფრო უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი რესპუბლიკა, ხალხი.

ახლა მთავარია მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია მოგებამაროთ მეათე ხუთწლედის მეორე, საიუბილეო წლის დავალებათა დადამდე შესრულებას, მკვეთრად ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი, ღირსეული წვლილი შევიტანოთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეგხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს!

ხალისი, ენერგია შეგვმატა

მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ შრომის წითელი დროშის ორდენოსანია.

შარშან მომხმარებელს 429.207 ათასი ცალი ნახევარლიტრიანი „ბორჯომი“ მივაწოდეთ, გეგმა კი 420 მილიონს ითვალისწინებდა. ამ წარმატებამ საკავშირო გარდამავალი დროშა მოგვაპოვებინა.

დიდი ჯილდოს პასუხად ახალი ვალდებულებები ვიკისრეთ. წლეულს გაერთიანების კოლექტივი გეგმით გათვალისწინებული 425 მილიონის ნაცვლად მომხმარებელს 430 მილიონ ცალ ნახევარლიტრიან „ბორჯომს“ გაუგზავნის. ამასთანავე მთელი ძალით ვეცდებით კიდევ უფრო გავზარდოთ საწარმოს ეფექტიანობისა და ხარისხის მაჩვენებელი, ახალი შრომითი წარმატებებით შევეგებეთ ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ქ. ხარისპირაშვილი,
შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორი;
ბ. მაისურაძე,
პარტიული კომიტეტის მდივანი;
შ. ბაბარიკ,
მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ქუთაისური ავეჯი

ქუთაისი. საავეჯო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც საუბილეო ვახტზე დგას, იანვარში პროდუქციის გამოშვების გეგმას 2,7 პროცენტით გადაჭარბა და გეგმის გადამეტებით 13 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა. („კომ“, კორ.).

„ყოველ ნაკეთობას — შეუნელებელი კონტროლი!“ — ამ დევიზით შრომობენ ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკის წარმოების მუშაკები. მათ ვალდებულება იკისრეს, რომ აქ გამოშვებული ტანსაცმლის არცერთ სახეობაზე არ მიიღონ რეკლამაციები.

მკერავებმა, რომლებიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი და ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედის მეორე წლის შრომის ნაყოფიერება 2,5 პროცენტით გაზარდონ და 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვან.

სურათზე: მკერავი ე. ბიწაძე. იგი იბრძვის ხარისხის ფრიადოსნის წოდების მოსაპოვებლად.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ღირსეულად ეგებვდეთ დიად იუბილეს!

ზეგეგმითი მილიონები

ქალაქ ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა მაგალითით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). **დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელიწადს სამშობლოს მივცეთ 3 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია, — ასეთი ვალდებულება აიღეს ზუგდიდის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა.**

ისინი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ქალაქ ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა თაოსნობას ყოველთვიური გეგმების შესრულების ტრადიციად გადაქცევის თაობაზე და გადაწყვიტეს ყველა რგოლში, ყველა უბანზე იბრძოლონ ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის. იმუშაონ ისე, რომ საიუბილეო წელს არ ყავდეთ ჩამორჩენილი საწარმო, ყოველთვიურად გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები.

იანვარსა და თებერვლის 20 დღეში ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა და მშენებლებმა დამკვრელურად იმრომეს. გეგმები გადაჭარბებით შესრულეს ენგურის ელეოროსადგურის კომბინატის, ლუდის და ხილეული წყლების ქარხნის, ჩაის საწნახელ ფაბრიკის, საკონსერვო კომბინატის, ღვინის გაერთიანების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ფაიფურის ქარხნის კოლექტივებმა.

22 თებერვალი

„პრავდის“ ფურცლებზე

თავისუფალი შრომის ძლევამოსილი დროშა

სულ უფრო მეტი გაჭანება ეძლევა სოციალისტურ შეჯიბრებას რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, რომელიც ახალი სამყაროს ქვეყნების მუშებს, გლეხებს, სახალხო ინტელიგენციას კაცობრიობის განვითარების ისტორიულ ნიშანსვეტად, XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნიათ. **დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა ალსანიშნავი შეჯიბრება, რომელიც ინტერნაციონალიზმის ნიშნით გაიმალა, წერს გაზეთი მეთაური წერილში („თავისუფალი შრომის ძლევამოსილი დროშა“), აძლიერებს იმ საბჭოთა საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობას, რომლებიც სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობენ. საბჭოთა შეკვეთების უნადო შესრულებისათვის მეგობრების ზრუნვა მთლიანად ეხმიანება ჩვენი საწარმოო კოლექტივების ამოცანებს: ყველაფერი, რაც მომზე ქვეყნებისათვის კეთდება, ზუსტად ვადაზე უნდა იყოს მზად და გამოორჩეოდეს უმაღლესი ხარისხით. ეს მუშური ღირსების საქმეა, რაზედაც ბევრად არის დამოკიდებული საერთო წინსვლა ოქტომბრის გზით.**

პირველ-მეორე გვერდებზე გამოქვეყნებულია რუსეთის ფედერაციის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები მეათე ხუთწლედისათვის და 1977 წლისათვის — **„მტკიცე ნაბიჯი რუსეთისა“.**

ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ერიხ ჰონეკერის** სტატიას — **„ლენინის პარტიის ისტორიული გამოცდილების საგანძური“.**

რუბრიკით — **„ხელოვნების დღიური“** — წაიკითხავთ ცნობას, რომ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი **გ. თოიძე** მუშაობს ახალ ტილოზე **(„შემოდგომა“)**, რომელსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს უძღვნის.

გაზეთი კვლავ დიდ ადგილს უთმობს საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაციას.

ПРАВДА

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედების სახელმძღვანელოა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა გაფართოებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მომმარაგებელი ორგანიზაციების, სავაჭრო ბაზების მუშაკები და რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხს.

თათბირზე აღინიშნა, რომ პლენუმის მასალებს ყველგან ფართოდ განიხილავენ და გულდასმით სწავლობენ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების მუშაკთა აქტივის კრებებზე. მუშაობენ კომპლექსურ ღონისძიებებს პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის, დაიწყო ამ დადგენილების შესრულება. უფრო ქმედითი გახდა კონტროლი, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში ჩაებნენ საზოგადოებრიობის ფართო მასები. გაჩაღდა ბრძოლა მყიდველთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესებისათვის. დასახულია თვითმომსახურების მეთოდის, ვაჭრობის სხვა პროგრესული ფორმების შემდგომი დანერგვის, საბითუმო ბაზების მუშაკებთან საქმიანი კონტაქტების განმტკიცების ღონისძიებები. აღინიშნა, თუ რა დადებითი როლი შეასრულა სავაჭრო ორგანიზაციებთან საწარმოთა ფართო ურთიერთობის გახმაკიცებამ ქალაქ რუსთავის, თბილისის პირველი მაისისა და ლენინის რაიონების მაგალითისამებრ.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში ფორმალურად მოეკიდნენ პლენუმის მასალების პროპაგანდის დიდმნიშვნელოვან საქმეს, მათს განხორციელებას, დასჯერდნენ მხოლოდ იმას, რომ განიხილეს და მოიწონეს ეს მასალები, მაგრამ მათი განხორციელების არავითარი ღონისძიება არ დაუსახავთ. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე მთავარია მიაღწიონ მუშაობის ეფექტიანობასა და ყოველმხრივ ჩინებულ მომსახურებას, ფართოდ გაიჩაღონ ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩირქს სცხებს დახლის მუშაკის პატიოსან სახელს.

ვაჭრობის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოებისა და მოხმარების ყოველმხრივი განვითარების ბევრი პრობლემა მხოლოდ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით გადაწყდება. და ეს მუშაობა უნდა წარმართონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა აქტივმა. უნდა გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლექტივებში, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შორის, მეტი ყურადღება დაეთმოს კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს, სისტემატურად განხორციელდეს ხელმძღვანელობა და კონტროლი ამისადმი, თუ როგორ წყდება ვაჭრობის სისტემაში პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები.

თათბირის შეიდგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ. (საქინფორმი).

სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად

მოსკოვი

22 თებერვალს საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა არმიისა და საზღვაო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. თ. ვატჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა კავშირისა და სხვადასხვა გვარეობის ჯარების მარშლები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკინფორმი).

თბილისი

ოფიცერთა საოლქო სახლში 22 თებერვალს გაიმართა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა და თბილისის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავს.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, ამერიკაკავასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. მელნიკოვი, ამერიკაკავასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ოვერჩუკი, ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ს. ვარიჩენკო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვეტაძე, თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რეგავამ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის მარშლის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. სალტიკოვმა. (საქინფორმი).

სურათი გადაღებულია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის № ნაწილში; უფროსი სერჟანტი რევაზ კოჩაძე (მარცხნივ) და რიგითი ვალერი რუბლიოვი.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1977 წლის 23 თებერვალი № 65 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგებლებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

დღეს ჩვენი სამშობლო საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის ხალხები ამ დღესასწაულს ხვდებიან ახალი მიღწევებით სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა მიზნად ისახავს შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მთელი საზოგადოებრივი წარმოების დინამიკურ განვითარებას. სულ უფრო ძლიერდება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. დღითიდღე მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას. საბჭოთა კავშირი მომზე სოციალისტურ ქვეყნებთან, მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იღვწის დაძაბულობის შენელების შემდგომი გაღრმავებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების სულ უფრო მტკიცედ დამკვიდრებისათვის.

აგრესიული იმპერიალისტური წრეები, რომლებიც მოქმედებენ „საბჭოთა მექანის“ ყალბი საბაბით, ჯიუტად უწევენ წინააღმდეგობას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების კურსს. ისინი ზრდიან გამალებულ შეიარაღებას, ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტებს, ცდილობენ გააჩაღონ დაძაბულობის კერები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ამ ვითარებაში, მტკიცედ ახორციელებენ რა მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირის თავდაცვით პოტენციალს ისეთ დონეზე ინარჩუნებენ, რომ ვერავინ გაბედოს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა.

კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც წმინდად იცავენ ლენინის ანდერძს, არსებობის პირველი დღეებიდანვე ერთგულად ემსახურებიან სოციალისტური სამშობლოს დაცვის სამართლიან საქმეს. ამ დღეებში არმიისა და ფლოტის მეომრებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ გააჩაღეს საოქტომბრო შეჯიბრება. სრულყოფენ რა თავიანთ ოსტატობასა და საბრძოლო მზადყოფნას, ისინი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიებთან ერთიან მწყობრში ფხიზლად და საიმედოდ იცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს, ჩვენი ხალხების მშვიდობასა და უშიშროებას.

ამხანაგო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებო!

ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

ვილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავს! შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას ვუსურვებ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, თანამედროვე იარაღისა და ახალი ტექნიკის დაუფლებაში, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობა- განმტკიცებაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავის ალსანიშნავად

ვბრძანებ:

1977 წლის 23 თებერვალს, 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს საზეიმო ფეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 59-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

პროფკავშირთა მუშაობა — სკკპ XXV

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა გააკეთა, აღსახა საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მრავალმხრივი მუშაობა, განსაზღვრა პროფკავშირთა ახალი დიდი ამოცანები, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა, თქვა მომხსენებელმა, მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ წელს, როცა მე-60 წლისთავი უსრულდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ეპოქას. ამ დიად თარიღს საბჭოთა ადამიანები ახალი შრომითი გამარჯვებებით ხვდებიან.

საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი აღსავსე იყო მსოფლიოისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარების დიდი მიღწევა, გამარჯვების მკაფიო გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. პარტიისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პლენუმზე წარმოოქმული შესანიშნავი, ღრმამნიშვნელოვანი სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყოველმხრივ და სრულად გააშუქა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდგომი რეალიზაციის გზები, მოგვცა მეათე ხუთწლიანი გეგმის ვრცელი დახასიათება და პოლიტიკური შეფასება.

მეათე ხუთწლიანი გეგმა — ეს არის ჩვენი დიდი სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდის ფართო პროგრამა, სოციალური განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების ბევრ სხვადასხვა გარდამქმნელ ღონისძიებას, ხელს უწყობს მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას.

კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში, სხვა მომძლე რესპუბლიკებთან ერთად, თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა საქართველოსაც, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა. დაძაბული იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის მეცხრე ხუთწლედის წლები. პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს უხდებოდათ დაეძლიათ სერიოზული ჩამორჩენა ეკონომიკაში, გამოესწორებინათ ორგანიზაციული და პოლიტიკურ მუშაობაში არსებული დიდი ნაკლოვანებები, მთლიანად, შერე კი გადაჭარბებით შეესრულებინათ სახელმწიფო დავალებანი, გაეკანონებინათ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოსათვის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის ეპოქალური მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

ნეგატიური მოვლენები, მაღალტრადიციებისა და გადმონაშთების მომძალება, გარკვეული კატეგორიის ადამიანებში გამჯდარი პრიტენზიოზნობი და მაკერი ურთიერთთავდებობა, არაკომპეტენტურობა, ფორმალიზმი, და, მათ შედეგად, — სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის უხეში დარღვევები, — აი, რა რთულ სტიტუაციაში და პირობებში მოუხდა მუშაობა, რა მანკიერებათა და ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც უდიდესი მუშაობა გასწია რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღსადგენად. ამ ძნელი ბრძოლის წლებში რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიას კვლავაც დედაბომად ედგა სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მატარებელი ჩვენი შესანიშნავი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, რომლებმაც ღრმად შეიგნეს ამ ბრძოლის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე,

ყრილობის მოთხოვნათა დონეზე!

(გაგრძელება).

გულრიფშის განვითარების გენერალური გეგმები. სამკურნალო საქმის გარდაქმნაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ სამკურნალო და საკეთილო დაწესებულებანი დაკომპლექტებული არ არის ექიმებით.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის 50 წლისთავის საბჭოლობის საწარმოო გაერთიანების მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ვ. ახვერდოვი. მან ილაპარაკა მეცხრე ხუთწლედში კოლექტივის მიერ მიღწეულ წარმატებებზე და აღნიშნა, რომ მუშაობის ხარისხის საკითხები პირველ პლანზე დგება. ქარხანა პროდუქციის 95,6 პროცენტს პირველი წარდგენით აბარებს. გაერთიანებაში მუშაობს 260-ზე მეტი ხარისხის ფრიადოსანი, რომლებმაც პირადი დამღის უფლება მოიპოვეს. ბ

გამოსელაში დიდი ადგილი დაუთმო შრომის დაცვისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. საამქროებში სითბო, სინათლე და სამყოფოდროვეა, არის ყვავილები, მუშაობს სამედიცინო პუნქტები. ხარისხის ფრიადოსნებსა და იმათ, ვინც მეორე ცვლაში შინაგანი რეზერვების ხარჯზია დასაქმებული, უხრუწველყოფენ ფიფსო კვებით.

გაერთიანების მშრომელებმა მარტო კარგი მუშაობა კი არა, კულტურული დასვენებაც, თავისუფალი დროს საინტერესოდ გატარებაც იციან, — თქვა ვ. ახვერდოვმ. — ჩვენ გვყავს ეოკალურინსტრუმენტული ანსამბლი, სისტემატურად ეწყობა დასვენების საღამოები, შეხვედრები ფრონტოელების ვეტერანებთან, მოწინავეთა შეკრებები, სპორტული ასპარეზობანი, მაგრამ სიძნელეებს ვაწყდებით კულტურული და სპორტული ინვენტარის შეძენაში.

ამბ. ახვერდოვმ ილაპარაკა ბავშვების აღზრდის ნაკლოვანებებზე, დასვა საკითხი, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფრო მეტად ინტერესებდეთ მუშათა ბავშვების სწავლა და ყოფაქცევა, წინადადება წამოაყენა ქალაქ სოჭის შრომმელთა მაგალითისამებრ ფართოდ გაშალონ ბრძოლა თამბაქოს წევის წინააღმდეგ.

აჭარელი მშრომელები, თქვა აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. მ. ყურშუბაძემ**, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის მოწვევის შესახებ. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის პროფკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც შარშან ოქტომბერში გაიმართა, ქარხნის მოწინავე ხარატმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. დოლიძემ ვალდებულება იკისრა 18 თებერვლისათვის, საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულებინა წლინახევრის პირადი გეგმა და მოეწოდა თავის კოლეგებს მიებაძათ მისი მაგალითისათვის. აჭარის პროფკავშირთა სოლქომ საბჭომ მოიწონა ეს ინიციატივა. ამბ. დოლიძემ შეასრულა დაპირება. მის მაგალითს მიბაძეს ამავე ქარხნის ხარატმა ლ. ივანოვსკიმ, № 5 სამშენებლო ტრესტის მუშებმა ს. ხაბაძემ და მ. ხარებავამ, ბესაფოორმატორის ქარხნის მუშებმა უ. სავიტმა, ნ. ჩიჩუამ და ბევრმა სხვამ.

ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით საქართველოს სს რესპუბლიკისა და აჭარის სს რესპუბლიკის დაჯილდოების გამო, შეჯიბრება ახალი მძლეური სტიმული ეძლევა.

ორატორმა თქვა, რომ საჭიროა ავამაღლოთ ხელმძღვანელი პროფკავშირული კადრების სწავლების დონე, გამომცემლობებმა უნდა გამოუშვან მეტი სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა, რომელიც პროფკავშირული მუშაობის გამოცდილებას განაზოგადებს. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ გაზეთები, რადიო და ტელევიზია უფრო მეტად აშუქებდნენ პროფკავშირულ აქტივისტთა საქმიანობასა და მათი მუშაობის გამოცდილებას.

— წელს, — თქვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ს. მ. ჭიაურელმა**, — ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს 60 წელი უსრულდება. ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის 60 წელი ცოტა არ არის, სახელმწიფოსათვის კი წვეთია ზღვაში. ჩვენი სახელმწიფო ჯერ სულ ახალგაზრდაა და მით უმეტეს სასიხარულოა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასეთი გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ძნელია მოიძებნოს დარგი, რომელშიც ძირეული ძვრები არ მომხდარიყოს. ეს შეეხება ქართულ საბჭოთა თეატრსაც, რომელსაც სახელოვანი ისტორია ჰქონდა წარსულში და ჩვენს დროში ქართველი ხალხის ფიქრებისა და მისწრაფებების სარკედ გადაიქცა. ჩვენ, თეატრალური ხელოვნების მუშაკები, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ჩვენი ხალხის წინაშე, გვესმის, თუ როდინ დიდია თეატრის მნიშვნელობა საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანამედროვეების სულიერი და მორალური სახის ფორმირების საქმეში და ყველაფერს ვიღონებთ, რომ იმ მოთხოვნათა სიმაღლეზე ვიყოთ, რომლებსაც პარტია გვიყენებს.

ორატორმა დაასენა საკითხი, რომ თბილისში აშენდეს ახალი დრამატული თეატრი, გაიზარდოს ხელოვნების მოღვაწეთა სპეციალიზებულ მოგზაურობათა რიცხვი საზღვარგარეთის ქვეყნებში ზოგიერთი თეატრის უმნიშვნელოვანესი დადგმების გასაცნობად. მან თქვა აგრეთვე, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ზრუნვა და ყურადღება მშრომელი დედებისადმი.

სტუდიურ ... ...

პროფკავშირთა მუშაობა — სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე!

(დასასრული)

დაცემა მიეძღვნა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „ხალხის ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლება ძალიან ინტენსიურად ყველა ჩვენი გეგმის — როგორც უახლოესი დროისათვის, ისე ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული გეგმების მთავარი მიმართულებაა. საბჭოთა პროფკავშირების საპატიო მოვალეობაა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ გეგმების წარმატებით რეალიზაციას, მუდამ იზრუნონ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის“. ჩვენ კარგად იცით, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ვრცელი სოციალური პროგრამა, როგორიც მეთე ხუთწლედის მანძილზე განხორციელდება, 1976 წელს ახალი ნაბიჯები გადაიდგა მიმდინარე ხუთწლედისათვის დასახული ვრცელი სოციალური პროგრამის შესრულებაში.

მაგრამ მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, რომლებიც გვაქვს, საწარმოო პირობების გაუმჯობესებაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო საზოგადოებრივ მომსახურებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. ჯერ კიდევ ხელა ვითარდება საქარხნო სასადილოების ქსელი, არ კმარა საყოფაცხოვრებო შენობები, ზმირია შრომის კანონების დარღვევები მშრომელთა დათხოვნისა და ზეგანაკვეთური სამუშაოების გამოყენებისას, ნელა იზრდება ერთ სულ მოსახლეზე საქონლბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობა და ქმედითობა, ისევე როგორც ეროვნული, უშუალოდ არის დამოკიდებული დიდ მეწარმოებლური სამუშაოებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაზე. ამიტომ სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ წარმოებაში შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნისათვის, ადამიანთა სამედიცინო მომსახურებისათვის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციისათვის, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოებისათვის, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციისათვის. დიდი ამოცანები არის დასახული პროფკავშირების წინაშე ბენეფიციარებისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფის დარგში. სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად აღმზრდელობითის მუშაობას უნდა მივუდგეთ კომპლექსურად, ესე იგი იზრუნველყოთ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა.

პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ პარტიას მასების კომუნისტური შეგნების, სიმტკიცისა და კომუნიზმის მშენებლის თვისებათა ჩანერგვაში, რადგან სწორედ მასების შეგნებაა ჩვენი ყოფიერების ძალა.

დღეს განუზომლად გაიზარდა მოთხოვნები მუშაობის სტილისა და მეთოდებისადმი, პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობისადმი.

ჩვენ პარტიისაგან უნდა ვისწავლოთ წამოყენებულ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მეცნიერული შემოქმედებითი მიდგომა, მთელი ჩვენი საქმიანობა წარგმართოთ მიზანდასახულად და კონკრეტულად, ძირითადი ყურადღება დაეთმოთ ორგანიზაციასა და შესრულების შემოწმებას, დავეხმაროთ პირველადს ორგანიზაციებს, ავამაღლოთ მათი როლი შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში.

ახლა მეათე ხუთწლედის მეორე წელია, თქვა დასასრულ ორატორმა. 1977 წელი სიუბილეოა. მას ისტორიული აგები უკავია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მთელი მსოფლიოს განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

1977 წელს 70 წელი ესრულდება ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებს, მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას — კომპარტიის საიმედო ბურჯსა და მასებში პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებს, კომუნიზმის ლენინურ სკოლას.

1977 წელი სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობის მოწვევის წელია. ეს ყრილობა 21 მარტს დაიწყებს მუშაობას.

ნება მიბოძეთ, თქვა ბოლოს ორატორმა, გამოვთქვა იმედი, რომ საქართველოს სსრ მშრომელები და მათი პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ემზადებიან სახელოვანი იუბილეს შესახვედრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, თავიანთ წვლილს შეტანენ საიუბილეო 1977 წლისა და მთელი მეათე ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

ეროფკავშირთა ყრილობა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა რესპუბლიკის ცხოვრებაში, თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. პოლბინმა. ამ ყრილობით დაამთავრეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომელთა რიგებში ორ მილიონზე მეტი კაცია გაერთიანებული.

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ ერთი წელი გავიდა და ჩვენ დღეს დიდი კმაყოფილებით აღნიშნავთ, რომ ამ პერიოდს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ახასიათებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, მისი სტილის გაუჯობესება. ეს იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ პროფკავშირების საქმიანობას, ზეტ დახმარებას უწევენ მათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის პროფკავშირებისადმი თავის მუშაობას ისე წარმართავს, რომ აამაღლოს მათი მებრძოლურობა, ავტორიტეტი და გავლენა, ღონისძიებათა შედეგიანობა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე ვიხილავდით პრობლემებს, რომლებსაც პროფკავშირული ორგანიზაციები მარტონა ვერ დაგაწყვეტდნენ, და მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირთა საბჭოს, რესპუბლიკური კომიტეტების პრინციპული პოზიციების განმტკიცებისათვის. მაგალითად, ბინების განაწილებაში ჩვენ გადაჭრით აღვკვეთეთ ყოველგვარი პროტექციონიზმი, მკაცრ პრინციპულ საფუძველზე დაწესდა რიგიობა საწარმოებში და ამ საკითხთა მოწესრიგება პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალა. ამის გაკეთება იოლი როდი იყო — იძულებული გავხდით პარტიულ პასუხისგებაში მიგვეცა ზოგიერთი ხელმძღვანელი, თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა ზოგიერთები, ზოგზოგები კი სამართალშიც მიგვეცა. რესპუბლიკის მშრომელები ამ ღონისძიებებს დიდი მოწონებით შეხვდნენ, პროფკავშირულმა კომიტეტებმა კი ისინი პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ დიდ მხარდაჭერად მიიჩნიეს.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განვიხილეთ ქალაქ თბილისის ბლდანის მასივის განაშენიანების, ამ რაიონში მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის საკითხი. ამის შედეგად დედაქალაქის ახალ საცხოვრებელ მასივში კეთილმოწყობა უნებები, გაუჯობესდა ტრანსპორტის, ვაჭრობის ობიექტების, მომსახურების სფეროს მუშაობა.

განსკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ძიებული ღონისძიებათა კომპლექსი საძუალებას გვაძლევს მიმდინარე წლის დამდეგიდანვე უზრუნველყოთ საცხოვრებელი ბინების გეგმაზომიერი ყოველკვარტალური საქსპლოატაციოდ გადაცემა.

განხორციელდა ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ვაჭრობის საწარმოთა, ქალაქის ტრანსპორტის, სამედიცინო მომსახურების და სხვა ობიექტების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყოველივე ამის შედეგად პროფკავშირულმა ორგანიზმა უფრო მეტად იგრძნეს მხარდაჭერა, გაუძლიერდათ რწმენა მუშაობაში, რამაც ხელი შეუწყო ხელმძღვანელი ორგანოების ყველაზე მასობრივი ნგრევის — საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების აქტიურობის ამაღლებაში.

ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაძლიერდა ადამიანთა პოლიტიკური აქტიურობა. მოწონებე მუშებს და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებს კარგად ესმით, რომ საზოგადოების წამყვანი კლასის წარმომადგენლობა ბევრს ავალებს მათ. ამიტომ შეგნებული ალვენ, რომ საჭიროა ორგანულად უხამებდნენ შეჯიბრების ამა თუ იმ ფორმას და თაოსნობას ჩვენი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს.

მუშათა კლასი, თქვა შემდეგ ამხ. გ. ვ. კოლბინმა, ყოველთვის გვევლინებოდა ავანგარდად — რევოლუციის მებრძოლთა, ომთა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის, ახლა კი კომუნიზმის ფართოდ გაჩაღებული მშენებლობის ავანგარდად. სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ რესპუბლიკაში გვყავანან ისეთი შესანიშნავი თაოსანები, როგორიც არიან სკკპ XXV ყრილობის დელეგატი გიორგი ბაქრაძე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ბორის ვამაკიძე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ალექსანდრ ბეგორგი კუტანიძე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი ალექსი კვერნაძე. მათ ყველამ განსაზღვრეს ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში თავიანთი პირადი მოხაწილეობის პროგრამა, თავიანთი შრომითი წვლილი ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. ისინი თავიანთი შეძლებენ შთააგონებენ დანარჩენებს.

რესპუბლიკის პროფკავშირთა ახლახანდელი ყრილობის დელეგატებს შორის არიან გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები: ზურაბ სარალიძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეალერიან ჭელიძე — „თბილისელამშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვახტანგ ემნაძე — თბილისის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი, ალექსანდრა ეოუბა — ონჩამჩირის რაიონის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი და სოციალისტური საქართველოს ბევრი სხვა ღარჩინებული შრომელი.

სწორედ მათ, ასეთ ადამიანებს ეყრდნობიან ყველაზე რთულ სიტუაციაში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურებამ, მთელი მუშაობის ფორმების, მეთოდებისა და სტილის სრულყოფამ შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, რგებები და უზრუნველყო არცთუ ორგინ სტატი მეათე ხუთწლედში. შესრულდა სოციალისტური ვალდებულებები ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, გადაჭარბებით არის გახადდებული წარმოების ზრდის ტემპის საგეგმო დავალებები, საექსპლოატაციოდ გადაეცა სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ყველა გათვალისწინებული ობიექტი.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ გულმოდგინედ იჩუქნოდა ძალიან ბევრი ადამიანი, რომელთა საქმიანობას წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირთა რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები, საქართველოს პროფსაბჭო.

ყოველივე ეს იმ უდიდესი დახმარების, ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღების შედეგია, რომელსაც საქართველოს მშრომელების, ქართველი ხალხის მიმართ იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, საბჭოთა მთავრობა.

მეათე ხუთწლედის პირველი წლის შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, რომ მასში ხდება პროგრესული ცვლილებები, რომ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა საგრძნობ შედეგებს იძლევა.

მაგრამ ღირსეულად რომ ეაფასებთ მიღწეულს, ჩვენ, ბუნებრივია, არ შეგვიძლია გავამართვოთ ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანები, არ შევნიშნოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს საქმეებში, ხელს გვიშლის უფრო სწრაფ წინსვლაში.

უწინარეს ყოვლისა შეეხები განვითარების ტემპს. 1977 წლიდან დაწყებული ჩვენ 1,5-ჯერ უნდა გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატება 1976 წელთან შედარებით. მაშასადამე, მოგვეცის უდიდესი დაძაბული შუმაობა.

ამ მხრივ ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევდა ელექ ქუთაისსა და რესპუბლიკის დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის ინიციატივების ფართო გავრცელება, იმ თაოსნობის დახერგვა, რომელიც რუსთაველებმა გამოიჩინეს დეკემბერი — „არცერთი ჩამორჩენილი— ჩვენს გვერდით“.

კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, სახელწოდეთ ხარისხსინშმიანი ნაწარმის ხეედრითი წონის გასაზრდელად წარმოებს.

კაპიტალური მშენებლობის დარგში მეათე ხუთწლედში უაღრესად რთული ამოცანის გადაწყვეტა მოგვიწევს. მთლიანად რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდების მოცულობა შეადგენს 6 მილიარდ მანეთზე მეტს, რაც თითქმის 1,3 მილიარდი მანეთით აღემატება გასული ხუთწლედისას. 1977 წლის პროგრამა მიზნად ისახავს კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას ამ გზით, რომ ძალის თავი მოვუყაროთ მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, სრულად ავამოქმედოთ საწარმოო სიმძლავრესი და გავაუჯობესოთ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ისევე როგორც წინათ, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეს საბინაო მშენებლობას.

უაღრესად რთული და დიდი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში: მექანიზაციის, მელიორაციის, მეცხოველეობის დარგში.

დიდი იდეოლოგიური მუშაობა უნდა განხორციელდეს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, რათა მასები ეხიარონ ძარქსიზმ-ლენინიზმის იდეებსა და პრინციპებს და ამის შედეგად უფრო აქტიურად იმოქმედონ, გაძლიერდეს ბრძოლა შესაბამისი დამოკიდებულება შრომისადმი, გამდიდრდეს სულიერად.

პროფკავშირთა უპირველესი ამოცანაა როგორც აღამიანისათვის ზრუნვის გაძლიერება, ისე წარმოების შემდგომი აღმავლობა. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ტექნიკური პროგრესის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის შემდგომი დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუჯობესების და სხვა ღონისძიებები: მაგრამ ამის წარმოების გახვიარების ისეთი ფერო